პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 149 (10543) | ხუთშაბათი, 28 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ავამაღლოთ ადგილობრივი საბჭოების სესიების როლი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში დიდი და პასუხსაგები როლი აკისრია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს. ისინი მოწოდებული არიან ადგილებზე უხელმძღვანელონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, უზრუნველყონ სახელმწიფო წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, კანონების შესრულება, ხელი შეუწყონ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ადგილობრივი საბჭოები მათზე დაკისრებულ დიდმნიშვნელოვან მოვალეობათა განხორციელებისათვის სისტემატურად უნდა სრულყოფდნენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, განამტკიცებდნენ კავშირს მასებთან, ხელს უწყობდნენ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის გაძლიერებას. სკკპ XX ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს ხალხის მასების ფართო მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, მთელ იმ გიგანტურ ორგანიზატორულ-სამეურნეო მუშაობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წარმოებს. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული საბჭოების მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის დონეზე, მათს საქმიანობაში ფართო აქტივის მონაწილეობაზე.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩეული არიან მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები, მოწინავე ადამიანები. პერიოდულად იკრიბებიან რა სესიებზე, დეპუტატებს თან მოაქვთ მასების მდიდარი გამოცდილება, ცხოვრების ღრმა ცოდნა, აყენებენ მშრომელთა მოთხოვნებს. ეს შესაძლებლობას აძლევს საბჭოებს დასახონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველაზე უფრო სწორი, კონკრეტული ღონისძიებები, წარმატებით იბრძოლონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი ადგილობრივი საბჭო რეგულარულად, კონსტიტუციით დადგენილ ვადებში იწვევს სესიებს, რომლებზეც განიხილავენ კონკრეტულ, საჭირბოროტო საკითხებს, მთელი შეურიგებლობით აკრიტიკებენ არსებულ ნაკლოვანებებს, სახავენ საქმიან, ქმედით ღონისძიებებს, იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

მაგრამ ასე როდი ითქმის ყველა ადგილობრივი საბჭოს შესახებ. ჯერ კიდევ არის სესიის მოწვევის ვადების დარღვევისა და მათი მოუმზადებლად ჩატარების შემთხვევები. მაგალითად, ვანის რაიონული საბჭოს სესია მიმდინარე წლის 5 თვეში მხოლოდ ერთხელ შედგა, ხოლო ჯავის რაიონული საბჭო ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ ოთხჯერ შეიკრიბა. სესიების არარეგულარულად მოწვევა კონსტიტუციის მარტო ფორმალური დარღვევა როდია. როგორც სკკპ XX ყრილობაზე ითქვა, იქ, სადაც საბჭოების სესიას დადგენილ ვადებში არ იწვევენ, საბჭოები აუცილებლად კარგავენ ხელმძღვანელ როლს თავიანთი ანგარიშვალდებული და აღმასრულებელი ორგანოების მიმართ, რაც იწვევს საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევას. იქ, სადაც საბჭოები რეგულარულად არ იკრიბებიან, ფესვს იდგამს მუშაობის კანცელარიულ-უწყებრივი სტილი, ირღვევა კავშირი მასებთან, ვითარდება ბიუროკრატიზმი, ფერხდება მუშაობა.

ადგილობრივი საბჭოების სესიები გაბედული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ტრიბუნას წარმოადგენენ. მაგრამ სტალინირის რაიონის გრომის სასოფლო საბჭოს დეპუტატები იშვიათად სარგებლობენ ამ ტრიბუნით. გრომის სასოფლო საბჭომ 28 მარტს „განიხილა" სოფლებში მეცხოველეობის მდგომარეობის, ხოლო 19 აპრილს საზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების საკითხები, რომელთა შესახებ მსჯელობა არ გამართულა და არც გადაწყვეტილებები მიუღიათ. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სესიებზე კამათში მონაწილეობას იღებენ ერთი და იგივე დეპუტატები. ასე ხდება, მაგალითად, ცხაკაიას რაიონული საბჭოს სესიის სხდომებზე.

სესიების როლის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სესია შეიძლება კარგად იყოს მომზადებული, აქტიურად ჩაიაროს, მაგრამ თუ მიღებული გადაწყვეტილება არ განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სესიამ მიზანს ვერ მიაღწია. სამტრედიის რაიონული საბჭოს სესიაზე 17 აპრილს იმსჯელეს რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრებისა და მეცხოველეობის გეგმების შესრულების შესახებ. სესიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სოფელ საჯავახოს 1 მაისის, კულაშის კალინინის, მელაურის ლესელიძის, ბაშის სტალინის, ეწერის რუსთაველის, ნაფალაურის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში საგრძნობლად შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, მოუვლელობის გამო რაიონში გახშირდა პირუტყვის სიკვდილიანობა. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახეს ღონისძიებანი, მაგრამ მათი განხორციელებისათვის შემდეგ აღარ უზრუნიათ, ბუნებრივია, რომ არც მდგომარეობა გამოსწორებულა: რაიონში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმებს კვლავ ვერ ასრულებენ, ხოლო პირუტყვის სიკვდილიანობამ იმატა.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მათ წინაშე მდგომ ამოცანებს წარმატებით მხოლოდ მაშინ განახორციელებენ, თუ მათს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები. მაგრამ ზოგჯერ დეპუტატები არა მარტო არ მონაწილეობენ საბჭოს მუშაობაში, არამედ სესიაზე დასწრებასაც არიდებენ თავს.

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე კონკრეტული საკითხების დაყენება, დეპუტატთა აქტიური მონაწილეობა საკითხების მომზადებასა და განხილვაში, ნაკლოვანებათა საქმიანი კრიტიკა და შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით წახალისება იმის საწინდარია, რომ საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებს მიეცეს ქმედითი ძალა, უზრუნველყოფილ იქნას ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელების ინტერესები მოითხოვს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სესიების როლის გადაჭრით ამაღლებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

ამხანაგ ივანე ალექსის-ძე ლიხაჩოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

მხედველობაში იღებენ რა ამხანაგ **ი. ა. ლიხაჩოვის** თვალსაჩინო დამსახურებას მოსკოვის საავტომობილო ქარხნის შექმნაში, რომლის დირექტორად იგი მუშაობდა თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, და სამამულო საავტომობილო მრეწველობის განვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიეკუთვნოს ივანე ალექსის-ძე **ლიხაჩოვის** სახელი სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანას და ამიერიდან მას ეწოდოს — მოსკოვის **ი. ა. ლიხაჩოვის** სახელობის საავტომობილო ქარხანა.
2. დაიდგას მოსკოვის **ი. ა. ლიხაჩოვის** სახელობის საავტომობილო ქარხანაში ივანე ალექსის-ძე **ლიხაჩოვის** ბიუსტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა საუბარი მის უდიდებულესობასთან ირანის შაჰინშაჰთან

27 ივნისს კრემლში დილის 10 საათსა და 30 წუთზე გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის საუბარი მის უდიდებულესობასთან ირანის შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევისთან.

საუბარს საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ვ. ს. სემიონოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ა. ი. ლავრენტიევი, ა. პ. პავლოვი. ირანის მხრივ დაესწრნენ: ირანის ვაჭრობის მინისტრი იბრაჰიმ ქაშანი, სენატორი მოჰამედ საედი, გენერალ-ადიუტანტი იაზდან-პანაჰი, ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. გ. მასუდ-ანსარი.

საუბარი მიმდინარეობდა გულითადობის ვითარებაში და შეეხო ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას. მხარეები ერთი და იმავე შეხედულებისანი არიან, რომ სასურველია განმტკიცდეს ეს მეგობრული ურთიერთობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა ირანის შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევისა და დედოფალ სორეია ფეჰლევის პატივსაცემად

27 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევისა და მისი უდიდებულესობის დედოფალ სორეია ფეჰლევის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია ფეჰლევი, აგრეთვე მათი თანმხლები პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. პ. ზავენიაგინი, ვ. ა. კუჩერენკო, ვ. ა. მალიშევი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ს. სემიონოვი და სხვები.

საუზმის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და მისმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს. საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია ეცნობიან მოსკოვს

26 ივნისს ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ და დედოფალმა სორეიამ დაიწყეს საბჭოთა დედაქალაქის ცხოვრების გაცნობა. შუადღისას ისინი მივიდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებზე. აქ სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. მალიშევი და ვ. ვ. მაცკევიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ა. ლებედევა. დედოფალ სორეიას მიართვეს ვარდების დიდი თაიგული.

გამოფენის ტერიტორიაზე ღია მანქანით გავლის შემდეგ საპატიო სტუმრები წავიდნენ სომხეთის სსრ პავილიონში, ხოლო შემდეგ დაათვალიერეს სამრეწველო გამოფენის უდიდესი პავილიონი — „მანქანათმშენებლობა".

საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს კუიბიშევის ჰესისათვის გაკეთებული ჰიდროტურბინის გიგანტური ბორბალი, ამ ტურბინის მოქმედი მოდელი, მოსიარულე ექსკავატორთა მაკეტები, სხვადასხვა დიზელიანი მანქანები. ყურადღებით დაათვალიერეს აგრეთვე ახალი მსუბუქი ავტომანქანები „ზის-111", „ვოლგა", „მოსკვიჩი". სტუმრებს აინტერესებდათ, გამოშვებული იქნება თუ არა ეს მანქანები საექსპორტოდ.

დასასრულ სტუმრებს ღია მოედანზე უჩვენეს სხვადასხვა ჯიშის ცხოველები. ტრიბუნების წინ ჩაატარეს მაღალპროდუქტიული ძროხები, ნაზმატყლიანი ცხვრები, საჯდომი და საჯაგავი ცხენები. ცხოველთა ჩვენება დამთავრდა ორი რუსული სამცხენას გამოსვლით.

გამოფენის დათვალიერებისას ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ვ. ა. მალიშევი და ვ. ვ. მაცკევიჩი.

გამოფენის მრავალი დამთვალიერებელი მეგობრულად მიესალმა შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის, დედოფალ სორეიას და მათ თანმხლებ პირებს.

დღის მეორე ნახევარში სტუმრებმა დაათვალიერეს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (საკდესი).

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯოვანი გრონკის დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისადმი

მარშალ კ. ვოროშილოვს
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
მოსკოვი

მადლობას მოგახსენებთ თქვენ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მილოცვისა და სურვილებისათვის, რაც თავაზიანად გამოთქვით რესპუბლიკის დაარსების ათი წლისთავის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ მეც გამოვთქვამ ჩემი ქვეყნის გრძნობებს, ვუსურვებ რა ჩემი მხრივ საუკეთესო მომავალს საბჭოთა კავშირის ხალხებს და გავიზიარებ სოლიდარობისა და მშვიდობისადმი მოწოდებას, რომელსაც შეიცავს თქვენი წერილი.

ჯოვანი გრონკი.

კომკავშირელებო — მოსავლის ასაღებად!

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საქართველოს სსრ კომკავშირელებისადმი, მთელი ახალგაზრდობისადმი

ამხანაგო კომკავშირელებო, საბჭოთა საქართველოს ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

წელს მარცვლეულის უხვი მოსავალი მოვიდა მიწებზე, რომლებსაც ორიოდე წლის წინათ ყამირს ეძახდნენ და სადაც 33 მილიონი ჰექტარი უკვე მოხნულია ლენინური კომკავშირის 350 ათასი წარგზავნილის თავდადებული შრომით. ყამირის დამპყრობთ შეუძლიათ ჩვენს ქვეყანას მისცენ 2 მილიარდ ფუთზე მეტი პური; თუ გაიხსენებთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ამოცანა ყოველწლიურად მოვიყვანოთ 11 მილიარდი ფუთი მარცვლეული, ცხადია, რომ საბჭოთა ხალხისათვის საჭირო მარცვლეულის დაახლოებით 20 პროცენტის მოცემა მარტო აღმოსავლეთ რაიონებს შეუძლიათ.

როგორ მოიყვანეს ახალმოსახლეებმა ასეთი დიდი მოსავალი? რასაკვირველია, ეს მიწის ნაბოძვარი და ღვთის წყალობა არ არის. მოსავალი მოიყვანა ახალგაზრდა პატრიოტთა დაუცხრომელმა შრომამ.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი გაჭიანურდა, სტიქიის წინააღმდეგ, პარტიისა და მთავრობის გულითადი დარიგებით შთაგონებულმა მეყამირეებმა დროზე მიიტანეს ადგილზე თესლი, საწვავი, სურსათი, დასერეს მინდვრები თოვლსახნავებით, რათა გაეძლოთ მიწა ტენით, მოკლე ვადებში დათესეს მინდვრები.

მთელი საბჭოთა ხალხი ადევნებდა თვალყურს პატრიოტთა მუშაობას და ეხმარებოდა მათ, ამარაგებდა ტრაქტორებით, ავტომანქანებით, სათესი მანქანებით, გუთნებით, საშენი მასალებით, ყოველდღიურად სახმარი სხვადასხვა საქონლით.

ახალმოსახლე საბჭოთა ადამიანებმა დიდი შრომა და ძალღონე მოახმარეს ახალი მიწების დამუშავებას, რათა მას ესოდენ უხვი ნაყოფი გამოეღო.

ახლა იწყება მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი — საჭიროა სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ შემოსული პურის უხვი მოსავალი, რათა არც ერთი კილოგრამი მარცვლეული ფუჭად არ დაიკარგოს.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ახალ მიწებზე დიდძალი სხვადასხვა ტექნიკა მოიპოვება, მიუხედავად ახალმოსახლეთა თავდადებული შრომისა, მარტო მათი ძალებით მეტად გაძნელდება მთელ ამ ვრცელ ფართობზე მთელი უდიდესი მოსავლის აღება.

განა შეიძლება კომკავშირელებმა დაუშვან, რომ მუშახელის ნაკლებობის გამო ამ ალოობაში პურეული გადამწიფდეს და ჩაცვივდეს, რომ უსარგებლოდ დაიკარგოს ათეულ მილიონობით ცენტნერი მარცვლეული? არ შეიძლება, კომკავშირელები არამც და არამც არ დაუშვებენ ამას.

ახალმოსახლეებს ესაჭიროებათ 200 ათასი მარჯვე, ინიციატივიანი, მკლავმაგარი ჭაბუკისა და ქალიშვილის დახმარება, რომლებსაც არ ეშინიათ სიძნელეებისა და შავი მუშაობისა და რომლებიც ნებაყოფლობით გამოთქვამენ სურვილს წავიდნენ მოსავლის ასაღებად.

ამიტომ საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ყველა კომკავშირელს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას: „დავეხმაროთ ახალმოსახლეებს მოსავლის აღებაში!"

საქართველოს კომკავშირი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა კომკავშირული ორგანიზაცია, ყოველთვის აღფრთოვანებით იწყებდა ყოველ ამოცანის გადაწყვეტას, რომელსაც მას სამშობლო უსახავდა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გამოქვეყნებისთანავე მოსავლის ასაღებად წასვლის სურვილი გამოთქვეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კომკავშირელებმა, სურამისა და გურჯაანის მექანიზაციის სკოლების მსმენელებმა, დიღმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის ყველა კურსდამთავრებულმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბევრმა სტუდენტმა და სხვა პატრიოტებმა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი იწონებს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ამ თაოსნობას და დარწმუნებულია, რომ ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი მიბაძავს მეტალურგებისა და ავტოქარხნელების, სტუდენტებისა და მოსწავლეების მაგალითს.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მოსავლის ასაღებად ორი თვით გაგზავნონ 2.000 ქალიშვილი და ჭაბუკი.

სამუშაო ყველას ეყოფა; კომბაინერებსაც, შოფრებსაც, ტრაქტორისტებსაც; საჭირო იქნება მუშები სალეწ მანქანებზე, კალოზე, ელევატორში, მარცვლის გაწმენდაზე, გადახვავებაზე, დატვირთვაზე, საჭირო იქნება მარცვლეულის, წყლის, საწვავის მზიდავები.

ძვირფასო მეგობრებო! მოსავლის აღებაზე ყოველგვარი მუშაობა საპატიო იქნება! საჭირო იქნება მხოლოდ სასახელოდ იმუშაოთ, თქვენი შრომა კი ღირსეულად ანაზღაურდება.

ამხანაგებო, შექმენით ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების, სტუდენტებისა და მოსწავლეების დამკვრელი რაზმები და ბრიგადები. დაე კომკავშირის მუშაკები და აქტივისტები ჩაუდგნენ სათავეში ამ რაზმებსა და ბრიგადებს!

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების უახლოეს ამოცანად მიაჩნია განუმარტონ ახალგაზრდობას დასახული ამოცანის მთელი დიდი მნიშვნელობა და დარაზმონ იგი მოსავლის ასაღებად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მტკიცედ სწამს, რომ საბჭოთა საქართველოს სახელოვანი ახალგაზრდობა მოვალეობის სრული შეგნებითა და მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით წავა და დაეხმარება ჩვენს მეგობარ მეყამირეებს სწრაფად და მთლიანად აიღონ პური — ჩვენი სიმდიდრე, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის წყარო!

მოემზადეთ გასამგზავრებლად, ახალგაზრდა ენთუზიასტებო, — დრო არ ითმენს!

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

გავაჩაღოთ საქართველოს კომბაინთა აგრეგატების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება

პურეულის მოსავალს 320 ჰექტარზე ათ სამუშაო დღეში ავიღებთ

კაჭრეთის მტს-ის ოცდამეცხრე კომბაინის აგრეგატის კოლექტივის წერილი

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წყვეტს ისტორიულ ამოცანას — ჩვენს დიად ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის ამოცანას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ გადაუდებელ ამოცანად დაგვისახა მკვეთრად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება. ცნობილია, რომ მარცვლეული მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია.

მოახლოვდა მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების ცხარე დღეები. მალე პურის მკა ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივად გაჩაღდება. მოსავლის აღება სოფლის მეურნეობაში ყველაზე პასუხსაგები და დაძაბული სამუშაო დროა. განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას კომბაინერთა, კომბაინების აგრეგატების ყველა მუშაკის წინაშე. ჩვენზე ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული პურეულის სწრაფად აღების საქმეში.

დანაკარგების თავიდან აცილების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა მოსავლის აღება უმოკლეს ვადებში. პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია მკვეთრად შემცირდეს მარცვლეულის დანაკარგები მოსავლის აღებისა და შენახვის დროს; მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება მთავრდებოდეს სულ ბევრი 10 სამუშაო დღეში ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში. ჩვენი აგრეგატის კოლექტივს ყველა საშუალება, დიდი რეზერვები აქვს ამ საბრძოლო დავალების პირნათლად შესრულებისათვის.

გასულ წელს ჩვენი კომბაინის აგრეგატმა კაჭრეთის რაიონის სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში 22 სამუშაო დღეში 315 ჰექტარზე აიღო საშემოდგომო ხორბალი და 451 ტონა მარცვალი გალეწა. ეს საწარმოო მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ არ გვქონოდა მუშაობაში სერიოზული ხელშემშლელი პირობები: ჩვენს აგრეგატს უხდებოდა ძლიერ ჩაწოლილი პურის აღება. კომბაინის აგრეგატი ხშირად ცდებოდა, რადგან საკმაო ტრანსპორტის უქონლობის გამო ჭიანურდებოდა კომბაინის ბუნკერიდან პურის დაცლა, რაც იწვევდა კომბაინის ხშირად მოცდენას, სამუშაო გრაფიკის დარღვევას.

წელს კომბაინის აგრეგატის მუშაკებმა გაითვალისწინეს შარშანდელი ნაკლოვანებანი და საუკეთესოდ მოამზადეს კომბაინი პურის ასაღებად. მოსავალს ავიღებთ ისევ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. „სტალინეც-6" მარკის კომბაინი მაღალხარისხოვნად შევაკეთეთ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში. აგრეგატის კოლექტივი სრულად არის დაკომპლექტებული გამოცდილი მექანიზატორთა კადრებით. გავაუმჯობესეთ ჩაწოლილი პურის ასაღები სამარჯვი. კომბაინზე დადგმულია დამატებითი მარცვალსაჭერი, რითაც მინიმუმამდე შევამცირებთ დანაკარგებს. მოწყობილია აგრეთვე ელექტროგანათება ღამით მუშაობისათვის. კომბაინს აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, აგრეთვე ინსტრუმენტების სრული კომპლექტი.

პურს ავიღებთ დაბლა ჭრაზე. კალოზე შრომის დანახარჯის შესამცირებლად, კომბაინიდან ხუფთა მარცვლის მისაღებად გასული წლის მაგალითისამებრ გამოვიყენებთ მესამე გაწმენდას. ბუნკერიდან მარცვლის დაცლას მოვახდენთ მხოლოდ და მხოლოდ სვლის დროს. კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა საუკეთესოდ მოემზადა მოსავლის ასაღებად, საკმაო რაოდენობით გამოჰყო ტრანსპორტი, რაც იმის საწინდარია, რომ აღარ იქნება დაშვებული გასული წლის სერიოზული ნაკლოვანებანი, როცა ტრანსპორტის უქონლობის გამო კომბაინი ცდებოდა გახურებული მკის პერიოდში.

ნ. ფრიდონაშვილი

* * *

მკაზე შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის არ კმარა მარტო კომბაინის აგრეგატის მომზადება. საჭიროა აგრეგატზე სწორად მოვაწყოთ შრომა, რომ უქმად არ დაიკარგოს არც ერთი წუთი სამუშაო დრო. შემუშავებული გვაქვს სამუშაო დღის განრიგი, ზუსტად განვსაზღვრეთ აგრეგატის ყველა მუშაკის უფლება-მოვალეობანი. მტკიცედ დავიცავთ მანქანის ტექნიკური მოვლის წესებს, მინიმუმამდე შევამცირებთ კომბაინის წყლითა და საწვავით გამართვისათვის საჭირო დროს.

კარგად გვესმის, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ კომბაინის შეუფერხებელი და მაღალი წარმადობით მუშაობა. მექანიზატორთა მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ მთავარი საზრუნავია მივაღწიოთ კომბაინის დღიურ მაღალ გამომუშავებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდების, დანაკარგების აღკვეთისა და მანქანის შეუფერხებელი მუშაობისათვის დავნერგეთ რაციონალიზატორული წინადადება. სახელდობრ, კომბაინს დამატებით გავუკეთეთ ნამჯის ადვილად გადამტანი ელევატორი, რამაც მოგვცა მუშახელის ეკონომია.

გვახარებს ის, რომ წელს საკოლმეურნეო მინდვრებზე პურის უხვი მოსავალი მწიფდება. იგი მოყვანილია კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შრომით, ჩვენი ურთიერთსაწარმოო დახმარებით. არ არის იმაზე უფრო საპატიო საქმე, ვიდრე აქტიურად მონაწილეობდე ამ საუცხოო მოსავლის უდანაკარგოდ დაბინავების საქმეში.

შეგნებული აქვს რა უდიდესი პასუხისმგებლობა პურეულის უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ აღების საქმეში, ჩვენი აგრეგატის კოლექტივი ებმება სოციალისტურ შეჯიბრებაში და კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს: **მოსავალი 320 ჰექტარზე აიღოს 10 სამუშაო დღეში, საშუალოდ დღეში მოჭრას 32 ჰექტარი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე გალეწოს 18 ცენტნერი მარცვლეული.** ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის ს. ოტიაშვილის კომბაინის აგრეგატის კოლექტივს.

მოვუწოდებთ საქართველოს კომბაინერებსა და კომბაინის აგრეგატების ყველა მუშაკს ფართოდ მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის, თითოეული კომბაინის მაღალი დღიური გამომუშავებისათვის.

კაჭრეთის მტს-ის ოცდამეცხრე კომბაინის აგრეგატის კოლექტივი: **ნ. ფრიდონაშვილი** — აგრეგატის უფროსი, კომბაინერი; **მ. ჩირიკაშვილი** — ტრაქტორისტი; **მ. პეტრიაშვილი** — მეშტურვალე.

პარტიული ცხოვრება

გავაუმჯობესოთ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა მშრომელთა შორის

მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ საზოგადოების რაიონული განყოფილება ახალციხეში 61 წევრს აერთიანებს. განყოფილებასთან შექმნილია 2 სექცია — სოფლის მეურნეობისა და ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა, რომლებმაც წელს საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. სექციები დასამტკიცებლად გამგეობას ყოველთვის კარგად რეცენზირებულ ლექციებს უდგენენ.

მიმდინარე წელს რაიონში დაგეგმილია 300 ლექციის წაკითხვა. იანვრიდან დღემდე კი 150-ზე მეტი ლექციაა წაკითხული.

ლექციები ძირითადად იკითხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებზე, სკკპ ისტორიის საკითხებზე და ათეისტურ თემებზე. სკკპ XX ყრილობის მასალებზე დღემდე წაკითხულია 80-ზე მეტი ლექცია.

ადგილობრივი ლექტორებიდან კვალიფიციური ლექციების მომზადებით მსმენელთა მოწონებას იმსახურებენ ვ. ფირცხალაიშვილი, ნ. ზაქარიაძე, დ. კოჟორიძე, ნ. ბეგიშვილი, ბ. ახვლედიანი, ა. არვანოვა, ნ. ფარჯანაძე, ლ. ჯღარკავა. ისინი თავიანთ ლექციებს უნარიანად უკავშირებენ ცხოვრებას, ადგილობრივი საწარმოს თუ კოლმეურნეობის საქმიანობას. ლექციების პრაქტიკასთან დაკავშირებაში მათ დიდ დახმარებას უწევს პარტიის რაიონული კომიტეტის ბიბლიოთეკა, სადაც მოწყობილია რაიონის ეკონომიკის ამსახველი მდიდარი გამოფენა.

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ლექტორ ვ. ფირცხალაიშვილის ლექციამ „ახალციხის რაიონი მეექვსე ხუთწლედში". ქვანახშირის პირველი შახტის მესამე საექსპლოატაციო უბანში წაკითხული ლექციის დიდი ნაწილი მან დაუთმო მეშახტეთა წინაშე მდგომ ამოცანებს. ლექციის წაკითხვამდე ვ. ფირცხალაიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ქვანახშირის მოპოვებაში შახტის ჩამორჩენის მიზეზები და თავის ლექციაშიც ამ მიზეზებზე გაამახვილა ყურადღება. ლექტორმა მოიყვანა შრომის დისციპლინის დარღვევის კონკრეტული მაგალითები და აღნიშნა, რომ შახტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ მეშახტეთა აღსაზრდელად შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. შახტში მთელი დატვირთვით არ იყენებენ სამთო მექანიზმებს. ამით ეცემა მუშათა შრომის ნაყოფიერება და ძვირდება პროდუქციის თვითღირებულება.

ლექციამ მსმენელებზე დიდი გავლენა იქონია. უბნის უფროსი ა. ჩახნიანი დაეთანხმა ლექტორის შენიშვნებს და წამოაყენა წინადადებანი მეშახტეთა შრომის მოწესრიგების საკითხებზე; ახლა ეს უბანი ერთ-ერთი მოწინავეა.

სამწუხაროდ, ყველა ლექტორი ასე როდი იქცევა. ზოგი მათგანი ივიწყებს ხარისხს და მშრომელთა წინაშე გამოდის ზერელე, ცხოვრებას მოწყვეტილი ლექციით. ამას წინათ ლექტორმა ნ. ლუხავამ ახალციხის ავტოსატრანსპორტო კანტორაში წაიკითხა ლექცია თემაზე „საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი ეკონომიკის განვითარების მძლავრი ძალაა". მართალია, ლექტორმა კარგად ილაპარაკა სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობაზე, მის როლსა და ამოცანებზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს ავტოტრანსპორტის მუშაკთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

ასევე განყენებულად, პრაქტიკასთან დაუკავშირებლად კითხულობენ ლექციებს ი. ბერიძე და ე. ინასარიძე.

წელს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობამ ახალციხის რაიონში სამეცნიერო ხარისხის მქონე ლექტორთა დიდი ძალები მოავლინა. მათ შორის იყვნენ პროფესორი ა. კიკვიძე, დოცენტი შ. ახობაძე, დოცენტი გ. ასათიანი, დოცენტი დ. ფანჩულიძე და სხვები, რომლებმაც წაიკითხეს ლექციები თემებზე „ამიერკავკასიის ხალხთა საუკუნეობრივი მეგობრობა", „ძირეული ცვლილებანი ომისშემდგომ პერიოდში საერთაშორისო განვითარების საქმეში", „სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების შესახებ" და სხვ.

მაგრამ საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობას უნდა ვუსაყვედუროთ ერთი რამ. იგი არ ითვალისწინებს ჩვენი რაიონის მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობას. საჭიროა რაიონში მოვლინებულ იქნან ლექტორები ლექციების წასაკითხავად როგორც ქართულ, ისე რუსულ და სომხურ ენებზე.

საზოგადოების რაიონული განყოფილების მუშაობის სერიოზული ნაკლია ის, რომ შექმნილი არ არის მრეწველობის სექცია, ნაკლებად იკითხება ლექციები წარმოებისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის თემებზე, აგრეთვე ისტორიაში ხალხის მასების როლზე, ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრაზე, ოჯახისა და სკოლის კავშირზე და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

საზოგადოების რაიონული განყოფილების გამგეობა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ყველა ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ ლექციები იყოს ქმედითი და ხელს უწყობდეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

ა. მექვაბიშვილი,
საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის რაიონული განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე.



ჩაის საწონ ფაბრიკაში

დღითიდღე ზრდის შრომის ნაყოფიერებას თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი. ეს წარმატება ძირითადად უზრუნველყო წარმოებაში მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ღონისძიების განხორციელებამ.

ფაბრიკაში შეიცვალა შრომის ორგანიზაცია საწონ მანქანებზე, რამაც შეამცირა მოსამსახურე პერსონალის რაოდენობა. ახლა ორ მანქანას ექვსი მუშის ნაცვლად ხუთიღა სჭირდება.

წელს მნიშვნელოვნად გადიდდა ასაწონი მანქანების ბრუნვა. იგი წუთში 58-დან 62-მდე იქნა აყვანილი. ამ ღონისძიებამ საშუალება მისცა ფაბრიკას დამატებითი სახსრების დაუხარჯავად, იმავე მანქანებითა და მუშახელით დამატებით გამოუშვას 400 ტონამდე პროდუქცია.

დაიდგა ორი ახალი ავტომატი, რომლებზეც ჩაის 25-გრამიანი შეკვრა იწონება.

მთელი კოლექტივის თავდადებულმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. აპრილში საწარმოო დავალება შესრულდა 102,7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა — 106,2 პროცენტით, ხოლო მაისში შესაბამისად — 105,4 და 111,7 პროცენტით.

ჩაის ამწონები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ივნისში გეგმა 110 პროცენტით გაანაღდონ, შრომის ნაყოფიერების ამაღლების დავალება კი სულ ცოტა — 115 პროცენტით.

წარმატებათა მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი მოწინავე მუშა მემანქანეებს ა. სეხნიაშვილს, ნ. დონცოვას, ამწონ ვ. მიხაჩოვასა და სხვებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვს მოპოვებული პირველ კომკავშირულ ბრიგადას, რომლის ყოველთვიური მაჩვენებლები 115-120 პროცენტს აღწევს. მაისში ფაბრიკის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა კომკავშირულ ბრიგადას.

მ. ცოტაძე.

* * *

სურათზე: კომკავშირული ბრიგადის მემანქანეები ლ. ბიაშვილი (მარცხნიდან) და ა. სეხნიაშვილი.

ფოტო შ. გოქაძისა.

ალაზნის არტეზიული აუზის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია

გურჯაანი. (საკ. კორ.). საქართველოს რესპუბლიკურმა სამეცნიეროტექნიკურმა სამთო საზოგადოებამ ქალაქ გურჯაანში გამართა ალაზნის არტეზიული აუზის შესწავლისა და ექსპლოატაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ გურჯაანის, თელავისა და ყვარლის რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მტს-ების მუშაკები, წყალთა სასისტემო სამმართველოს თანამშრომლები და სხვ.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენებანი: პროფესორ ი. ბუაჩიძისა — „ალაზნის არტეზიული აუზის ჰიდროგეოლოგია", ინჟინერ ზვიადაძისა — „ალაზნის არტეზიულ აუზში წარმოებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგები", ინჟინერ ო. მენთეშაშვილისა — „გურჯაანის, ყვარლისა და თელავის არტეზიული ჰორიზონტების ქიმიური ბუნება და ფიზიკური თვისებები" და სხვ.

კონფერენციის მონაწილეებმა დასახეს ღონისძიებანი ალაზნის არტეზიული აუზის შესწავლისა და ექსპლოატაციის საქმის გასაუმჯობესებლად.

სამეცნიერო შრომების განხილვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გაიმართა სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის (გამგე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ე. ფიფია) თანამშრომელთა მიერ შესრულებულ სამეცნიერო შრომათა საჯარო განხილვა.

შრომები შეეხებოდა ქირურგიის მეტად აქტუალურ პრობლემას, კერძოდ, წყლულოვან დაავადებას და მის ქირურგიულ მკურნალობას.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწეებმა პროფესორებმა დ. იოსელიანმა, ე. ფიფიამ და ე. თოდაძემ, პროფესორებმა კ. ვირსალაძემ და ი. დავითაიამ, დოცენტმა ა. ერისთავმა და სხვებმა. შრომებს კარგი შეფასება მიეცა.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

წველადობის გადიდების მთავარი წყაროები

შარშანწინ ადგილობრივი ჯიშის 9 ძროხას ვუვლიდი. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.800 კილოგრამი რძე მივიღე და ამ მაჩვენებლებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვე. გამოფენაზე ჩემი ყურადღება მიიპყრო კოსტრომელი მეცხოველეების გამოცდილებამ. მე გულდასმით გავეცანი ძროხების მოვლა-პატრონობის მათს მეთოდებს. რუსი ამხანაგების მაგალითისამებრ დიდად გავაუმჯობესე პირუტყვის მოვლა, კვება და, რაც მთავარია, საკვების ულუფა უფრო მრავალფეროვანი გავხადე.

ძროხების მოვლა-პატრონობის ათი წლის გამოცდილება მაქვს, მაგრამ ნათქვამია სწავლა სიბერემდეო. ამიტომ მესამე წელია ვსწავლობ აგროზოოტექნიკურ კურსებზე. იქ მიღებულ ცოდნას ვიყენებ უშუალოდ პრაქტიკაში.

ალექსანდრა შაჭავარიანი

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების მიზნით ჩავები მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გამოვიწვიე ჩვენივე რაიონის სოფელ ლვირკის კოლმეურნეობის მწველავი ნორა თხელიძე.

ჩემი მხრივ ვალდებულება ვიკისრე 9 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მივიღო 2.100 კილოგრამი რძე, რაც 500 კილოგრამით აღემატება კოლმეურნეობის 1960 წლის გეგმით დასახულ მაჩვენებლებს.

ჩვენ გვყავს მაღალპროდუქტიული ძროხები „ალკა" და „ჯერანა". თვითეულმა გასულ სამეურნეო წელს 3.200 კილოგრამზე მეტი რძე მოგვცა. ახლა იმისათვის ვზრუნავ, რომ ყველა ძროხა გახდეს მაღალპროდუქტიული.

დიდ სიფრთხილეს მოითხოვს ახალმოგებული ძროხის კვება. თუ ამ პერიოდში კვების წესი არ დაეიცავით, ძროხას ემჭება კუჭნაწლავის ხშირი აშლილობა, რაც ამცირებს წველადობას. ამიტომ ხბოს მოგების პირველ დღეებში ძროხას ვაძლევთ კარგ თივას და კონცენტრატებს: სიმინდისა და ქერის ღერღილს თხიერი სახით დღე-ღამეში 1,5-2 კილოგრამის რაოდენობით. თუ ძროხა ჯანმრთელია, მას ულუფას თანდათან ვუდიდებთ და ხბოს მოგების 10 დღის შემდეგ სრულ ნორმას ვაძლევთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხბოს მოგების პირველ დღეებში ძროხას 4-5-ჯერ ვწველით დღეღამეში, ხოლო მეათე დღეს 2-3-ჯერ, შემდეგ კი ორჯერ. ამ დროიდან პირუტყვს თანდათანობით ვუმატებთ კონცენტრატებს, ხოლო შემდეგ ვაძლევთ სილოსს დღეღამეში 5-8 კილოგრამს.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ძროხებს წველადობის პერიოდში. ჩემი სამუშაო დღე ყოველთვის დილის 6 საათზე იწყება. ძროხებს ჯერ ვასუფთავებ სამურველითა და ჯაგრისით. ზამთარში თბილი წყლით, ზაფხულში ცივი წყლით ვბან ძროხებს ფეხებს, ცურს სველი ტილოთი ვწმენდ და მასაჟს ვუკეთებ, შემდეგ კი ვწველი.

დილის 7 საათზე თვითეულ ძროხას ვაძლევთ 10-12 კილოგრამ შაქრის ჭარხლის ნახარშს, რომელსაც აგარის შაქრის ქარხნიდან ვიღებთ, შემდეგ ვაძლევთ 2-3 კილოგრამ ქერის ან სიმინდის ღერღილს და სიმინდის ჩალას. 12 საათზე ძროხები სუფთა ჰაერზე გაგვყავს.

გაზაფხულსა და ზაფხულში ძროხები ბაგურ-ბანაკურ კვებაზე გადაგვყავს, რისთვისაც ვიყენებთ ფერმასთან ახლო მდებარე ბუნებრივ მდელოებს, სადაც ნაკვეთმორიგეობით ვაძოვებთ პირუტყვს.

საღამოს ძროხებს ვკვებავთ სიმინდისა და ქერის ღერღილის თხიერი ნარევით, რომელშიც საკმაო რაოდენობით ვურევთ მარილს. საღამოს 8 საათზე კვლავ ვწველით. დღეში ორჯერ წველა კარგ შედეგებს იძლევა.

ყოველივე ამან საშუალება მოგვცა გასული წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 ივნისამდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.470 კილოგრამი რძე მიგვეღო. ჩემს ძალღონესა და გამოცდილებას არ დავიშურებ, რათა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შევასრულო.

ალექსანდრა შაჭავარიანი,
ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშის კოლმეურნეობა „იმედის" მეძროხეობის ფერმის მწველავი.

მაღაროელ კომკავშირელთა თაოსნობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კომკავშირულმა ორგანიზაციამ, როცა გამოვიდა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებად. მაღაროელმა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა კარგად აწონდაწონეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი, იკისრეს ახალი ვალდებულებები და მოწოდებით მიმართეს მარგანეცის ქალაქის ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას აქტიურად ჩაებან ამ შეჯიბრებაში.

ინიციატორებმა ასეთი ვალდებულებები აიღეს: ყველა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ პირადი ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს ოთხ წელიწადში, იბრძოლოს წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის, რეზერვების გონივრული გამოყენებით შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 50-60 პროცენტით, მიაღწიონ იმას, რომ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართოდ დანერგვით ყოველწლიურად პირობითად დაზოგონ 105.000 მანეთი.

ახალგაზრდა მაღაროელთა თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ ყველა მაღაროში, გაჩაღდა შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

საქართველოს ავტოტრანსპორტი და გზატკეცილები მეექვსე ხუთწლედში

საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას და გზატკეცილების ქსელის გაფართოებას, აგრეთვე გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სახალხო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის საჭიროა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, უწინარეს ყოვლისა მთიან რაიონებში საავტომობილო ტრანსპორტმა უზრუნველყოს სახალხო - სამეურნეო ტვირთზიდვის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მეხუთე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტმა ტვირთზიდვა ერთიორად გაადიდა. ზრდის ეს ტემპი მეექვსე ხუთწლედში ვეღარ დააკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნილებას, თუ სათანადოდ არ გავაფართოეთ ავტომანქანების პარკი. მეექვსე ხუთწლედში ავტომანქანების პარკის გაფართოება გათვალისწინებულია იმ ზომამდე, რომ საშუალება გვქონდეს ტვირთზიდვა გავადიდოთ ორჯერ, ხოლო მგზავრთა გადაყვანა — სამჯერ. გარდა ავტომანქანების პარკის გაფართოებისა, გადაწყვეტილია გადაჭრით გავაუმჯობესოთ არსებული ავტომანქანების გამოყენება, მოვახდინოთ ტვირთზიდვის ცენტრალიზაცია, ყველა საშუალებით შევამციროთ ავტომანქანათა გაცდენები და დაუტვირთავად გარბენა.

მეხუთე ხუთწლედში ავტომანქანების გამოყენების გაუმჯობესებამ, უტვირთოდ გარბენის შემცირებამ და ტვირთზიდვის ნაწილობრივმა კონცენტრაციამ საშუალება მოგვცა გადაგვეზიდა 6.500.000 ტონა ტვირთი და გადაგვეყვანა 119.739.000 მგზავრი. მარტო მსუბუქი ტაქსი-ავტომანქანებით გავლილია 34.567.000 ფასიანი კილომეტრი მანძილი და სატვირთო ტაქსი-ავტომანქანებით — 3.928.000 კილომეტრი მანძილი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დიდი ხელსაყრელობისა, ცენტრალიზებული გადაზიდვის ხვედრითი წონა საერთო ტვირთბრუნვაში ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მეტად მცირეა.

მეექვსე ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცევა ცენტრალიზებული გადაზიდვის ფართოდ მოწყობასთან ერთად ავტომანქანათა პარკების ორ ცვლად მუშაობის შემოღებას და საწარმო-დაწესებულებების ავტომეურნეობათა გამსხვილებას, აგრეთვე მათს გადაცემას (მათი ფუნქციების გადაცემასთან ერთად) საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების რესპუბლიკური სამინისტროსათვის. ეს ღონისძიება დიდად შეუწყობს ხელს გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებას. ამას ისიც მოწმობს, რომ საუწყებო ავტომანქანებით ტონა-კილომეტრი ჯდება 81 კაპიკი, მაშინ როცა საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ავტომეურნეობას ტონა-კილომეტრი 50 კაპიკი უჯდება.

მეექვსე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანას და მათს სამარშრუტო მომსახურებას. ამჟამად რესპუბლიკაში დაწესებულია 123 საქალაქთაშორისო მარშრუტი 9.493 კილომეტრის საერთო მანძილით. მგზავრთა გადაყვანა ხდება მრავალადგილიანი ავტობუსებით.

მარტო წელს სამინისტრო მიიღებს და მთავარი მარშრუტებით გამოიყენებს ახალ, 32-ადგილიან ავტობუსებს გადასაწევი სავარძლებით. განზრახულია ასეთი ავტობუსების გაშვება პირველ რიგში შორი მარშრუტებით თბილისიდან ერევნამდე, თბილისიდან სტალინირამდე, ბაქომდე და, როდესაც სურამის უღელტეხილზე გზის რეკონსტრუქცია დამთავრდება, თბილის — ქუთაისის და თბილის — სოხუმის მარშრუტებითაც.

საკურორტო სეზონის განმავლობაში საკურორტო მარშრუტებზე გარდა ავტობუსების რეგულარული მოძრაობისა გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ მსუბუქი სამარშრუტო ტაქსი-ავტომობილების მოძრაობაც. ტაქსები ივლიან თბილის — ორჯონიკიძე — კისლოვოდსკის, თბილის — სოხუმ — გაგრა — სოჭის, თბილის — ბაკურიანის მიმართულებებით, აგრეთვე ქალაქის საგარეუბნო კურორტებზე. მგზავრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად წელს შემოღებულია მთელ რიგ „გადატვირთულ" მარშრუტებზე სატვირთო ტაქსების მოძრაობა, შევუდექით მგზავრთა დასასვენებელი 13 ახალი პავილიონის აშენებას. ახალი პავილიონები დახვდებათ წელს მგზავრებს წყნეთში, მანგლისში, წნორის წყალზე, ონში, ვანში, სამტრედიაში და მთელ რიგ სხვა დაბა-ქალაქებში.

ტვირთზიდვის მოცულობისა და მგზავრთა გადაყვანის ზრდასთან ერთად 1960 წლისათვის დიდად გაიზრდება ავტომანქანების რაოდენობა. მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის სამინისტროს ეყოლება 248,9 პროცენტით მეტი ავტომანქანები, ვიდრე მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ჰყავდა. ამის შედეგად გადაზიდვა-გადაყვანა გაიზრდება 349,7 პროცენტით. ავტობუსების პარკი ამავე დროისათვის გაფართოვდება 229,2 პროცენტით, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი — 266 პროცენტით.

ტაქსი-ავტომანქანების პარკის გაფართოება საერთო სარგებლობის ტრანსპორტით მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთი ღონისძიებაა. 1960 წლისათვის 1955 წლის დონესთან შედარებით გადაწყვეტილია მსუბუქი ტაქსების რაოდენობის გადიდება 197,4 პროცენტით, ხოლო სატვირთო ტაქსებისა—531,2 პროცენტით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საავტომობილო ტრანსპორტის გამართული, კარგი მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გზების ტექნიკურ მდგომარეობას. რაც უკეთესი, რაც უფრო კეთილმოწყობილია გზა, მით უფრო შეუფერხებლად წარმოებს საავტომობილო მოძრაობა, მით უფრო ხანგრძლივად მუშაობენ სამარშრუტო ავტომანქანები. სწორედ ამით აიხსნება, რომ პარტიის XX ყრილობამ ესოდენ დიდი ყურადღება დაუთმო საგზაო მშენებლობის საკითხებს და მიგვითითა, რომ საჭიროა ვაშენოთ გაუმჯობესებული ტიპის გზატკეცილები, ცემენტ-ბეტონის და შავსაფარიანი გზები. უნდა ითქვას, რომ საგზაო მეურნეობის მხრივ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, განსაკუთრებით არსებული გზატკეცილების შეკეთებისა და მართებულ ტექნიკურ მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარტო მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად გათვალისწინებულია 100 მილიონი მანეთის სამუშაოთა შესრულება. ეს მცირე თანხა როდია. ამ სამუშაოთა შესრულებაში უნდა გაძლიერდეს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა. წელს მოსახლეობამ გზებზე უნდა გამოიტანოს და დაყაროს გზატკეცილთა სავალი ნაწილის კეთილმოსაწყობად 937 ათასი კუბმეტრი ქვიშახრეში და ქვა. ჯერჯერობით ქვის მასალის გამოზიდვა გზებზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზამთრისა და გაზაფხულის თვეები — იანვარი, თებერვალი და მარტი, როდესაც სოფლის მოსახლეობას მეტი საშუალება ჰქონდა გზატკეცილებზე ქვის მასალის მოსაზიდავად ემუშავნა, სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული. ოთხი თვის განმავლობაში მხოლოდ 279.500 კუბმეტრი ქვა იქნა გზებზე გამოტანილი, თუმცა საშუალება იყო მეტი გამოეზიდათ. სარაიონო მნიშვნელობის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ბევრ რაიონში ცუდად მუშაობენ კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი საკოლმეურნეო - საგზაო ბრიგადები; ხოლო სადაც ეს ბრიგადები მოწოდების სიმაღლეზე არიან (მაგალითად, მახარაძისა და თელავის რაიონებში), იქ სარაიონო მნიშვნელობის გზებიც კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია.

მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში საქართველოში გზატკეცილების ქსელის ტექნიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. ამისათვის უკვე დასახულია სათანადო ღონისძიებათა განხორციელება, ხელოვნურ საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის გაფართოება, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობაში მასობრივად დავნერგოთ ასაწყობი ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, გავაფართოოთ პოლიგონური ტიპის ქარხნების ქსელი. ამჟამად სამინისტროს აქვს ბეტონისა და რკინაბეტონის დასამზადებელი ორი პოლიგონური ტიპის ქარხანა, მაგრამ მომავალში ეს ორი ქარხანა არ იკმარებს.

მეექვსე ხუთწლედისათვის ჩვენი მთავარი ამოცანაა ის, რომ ყველა მთავარი რესპუბლიკური გზატკეცილის ზედაპირი შავი საფარით (გუდრონით, ასფალტით) დავფაროთ. ეს სამუშაოები წელს დაიწყება და შემდგომ წლებში შავი საფარის ზოლი გზებზე თანდათან გაიზრდება. მიმდინარე წლის განმავლობაში შავი საფარი გაუკეთდება 143 კილომეტრს. აქედან წითელწყარო — შირაქის გზატკეცილზე — 5 კილომეტრს, თელავ — გომბორის უღელტეხილისაკენ — 8 კილომეტრს, ქუთაის — ონის გზატკეცილზე — 8 კილომეტრს, მაიაკოვსკი — ვანის გზატკეცილზე — 7 კილომეტრს და ა. შ. დამთავრდება ქუთაის — ტყიბულის, ვანი — დაფნარის და ოჩამჩირე — კვეზანის გზატკეცილების გუდრონირება. სულ შავი საფარი უნდა გაუკეთდეს გზებს 705 კილომეტრის მანძილზე. ამრიგად, მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის შავსაფარიანი გზები გვექნება ალპანიდან ამბროლაურამდე და ონამდე (ქუთაისიდან ალპანამდე ამ გზის კეთილმოწყობა იკისრეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებმა), ფოთიდან სუფსამდე, წნორიდან ხირსამდე, თბილისიდან გარდაბანამდე, მაიაკოვსკიდან ვანამდე და ა. შ.

გარდა ამისა, გადაწყვეტილია წელს კაპიტალურად შევაკეთოთ რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები 955 კილომეტრ მანძილზე და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები 1.691 კილომეტრ საერთო მანძილზე.

მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის საგზაო მეურნეობის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ ახალი გაკეთდება: ახალი გზების გაყვანასა და არსებული საავტომობილო გზების რეკონსტრუქციისათვის ათვისებულ უნდა იქნას 98.100.000 მანეთი, ანუ 96 პროცენტით მეტი თანხა, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში.

1960 წლისათვის უნდა დამთავრდეს ბარისახო—ახალხევის გზის გაყვანა, სტალინირ — გუფთა — ჩასავალის გზატკეცილის რეკონსტრუქცია, უნდა დავიწყოთ და დავამთავროთ ქუთაის—მაიაკოვსკი—საირმე—ბენარას გზის რეკონსტრუქცია, ავაგოთ ახალი რკინაბეტონის ხიდები წულუკიძის, გეგეჭკორის, ყვარლის რაიონებში.

შესრულდება დიდი სამუშაოები არსებული გზების გასამწვანებლად, საგზაო ნიშნების დასაყენებლად.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებმა უნდა იბრძოლონ საგზაო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის წინაშე ახალი ხუთწლედით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

შ. ლებანიძე,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრის მოადგილე.

სიმწიფის ატესტატით — შრომით ცხოვრებაში

პარტიის XX ყრილობამ სახალხო განათლების მუშაკებს ახალი, უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახა. ყრილობის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებას, პოლიტექნიკური სწავლების შემდგომ განვითარებას.

ღონისძიებათა მთელი ის სისტემა, რაც ამჟამად ხორციელდება სწავლა-აღზრდის საქმის ახალ მოთხოვნათა დონეზე ასაყვანად, იქითკენ არის მიმართული, რომ სკოლა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას, სწავლება დაუახლოვდეს პრაქტიკას, მოსწავლეებს განუვითარდეთ შრომითი ჩვევები, რომ პოლიტექნიზმის ელემენტების ფართოდ დანერგვით აღვზარდოთ ისეთი თაობა, რომელიც წარმატებით შეძლებს როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის განგრძობას, ისე კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე მაღალნაყოფიერ საწარმოო შრომაში უშუალო ჩაბმას.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქ. ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაამთავრა 4.024 მოსწავლემ, მათგან ოქროს მედლით დაჯილდოვდა 240, ხოლო ვერცხლის მედლით — 317 კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულთა ერთმა ნაწილმა სწავლა განაგრძო სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ჩაება სოციალისტური შრომის ფერხულში და მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევასთან ერთად დაუსწრებლად იღებს უმაღლეს განათლებას. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოში — ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში უკანასკნელი 4 წლის მანძილზე სამუშაოზე მიღებულია საშუალო სკოლის 1.400-ზე მეტი კურსდამთავრებული, მათ შორის 45-მა გასულ სასწავლო წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. ისინი წარმატებით დაეუფლნენ სხვადასხვა პროფესიას. კურსდამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს ქუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმში, ხოლო 80-ზე მეტი ახალგაზრდა — უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებებზე.

გ. ფერაძე, ა. დოლაბერიძე, დ. მიქელაძე საავტომობილო ქარხანაში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიდნენ. მათ წარჩინებული მუშაობით ავტომობილმშენებელთა შორის საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეს და ამჟამად საამქროს ხელმძღვანელ მუშაკებად არიან დაწინაურებულნი. გ. ფერაძე სატქიფრო საამქროს უფროსია, ა. დოლაბერიძე — მისი მოადგილე, ხოლო დ. მიქელაძე — ამავე საამქროს ტექნიკური ნაწილის უფროსი. ამავე დროს ისინი საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მოწინავე სტუდენტები არიან.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება ქალაქის სხვა საწარმოებიდანაც. მაგალითად, ქარხანა „მაღაროელში" მუშაობს 78, ხოლო აბრეშუმის კომბინატში 72 ახალგაზრდა, რომლებმაც 1952 წლის შემდეგ მიიღეს საშუალო განათლება. ახლა ისინი თავდადებით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. ბევრი მათგანი არჩეულია საამქროებისა და განყოფილებების კომკავშირის ბიუროს მდივნებად, მდივნის მოადგილეებად და სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

სულ უფრო იზრდება იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. ბ. ზზიკაძემ 1953 წელს დაამთავრა მე-6 საშუალო სკოლა, ახლა მუშაობს საავტომობილო ქარხნის ძრავების საამქროში და გეგმას 250 პროცენტით ასრულებს. მისი საშუალო გამომუშავება 1.035 მანეთს უდრის. რ. ტყეშელაშვილმა იმავე წელს დაამთავრა მუშა ახალგაზრდობის მე-4 საშუალო სკოლა, ახლა სამჭედლო საამქროს ოსტატია.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გ. შვანგირაძე ქარხანა „მაღაროელის" სამჭედლო საამქროში გეგმას 300-400 პროცენტით ასრულებს. მისი თვიური საშუალო გამომუშავება 2.500 მანეთს უდრის. ამავე საამქროს თერმისტი ჯ. კვერნაძე, რომელმაც 1954 წელს დაამთავრა მუშა ახალგაზრდობის მე-4 სკოლა, გეგმებს 250-300 პროცენტით ანაღდებს. მე-4 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ს. გელენიძე მოწინავე მჭედელია, არჩეულია საამქროს პარტორგანიზაციის მდივნად, წარმატებით სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული თაკილობს ფიზიკურ შრომას, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის შედეგად უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდა, არ სურს ჩაებას საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში. ეს იმის შედეგია, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოიძებნებიან ობივატელური შეხედულებებისა და მისწრაფებების მქონე ცალკეული ადამიანები, რომლებიც ყველაფერზე მაღლა აყენებენ პირად ინტერესებს, გაურბიან შრომას და უსაქმოდ ატარებენ დროს.

ქუთაისის სკოლების კურსდამთავრებულთაგან აღრიცხულია 200-მდე ახალგაზრდა, რომლებმაც ერთი თუ ორი წლის წინათ დაამთავრეს საშუალო სკოლა და არსად არ სწავლობენ, არც მუშაობენ, თავს არიდებენ შრომას, უსაქმოდ ხეტიალობენ ქუჩაში. ასეთი ახალგაზრდები არცხვენენ სკოლასა და ოჯახს, მასწავლებლებსა და მშობლებს, საბჭოთა ახალგაზრდის სახელს.

წინა წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს უძნელდებოდათ პროფესიის არჩევა, რადგან საკმაო წარმოდგენა არ ჰქონდათ საწარმოო სპეციალობაზე. ჩვენი ქალაქის მთელ რიგ სკოლებში განხორციელდა ღონისძიებანი პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის, ეწყობა პრაქტიკული სამუშაოები მიწის საცდელ ნაკვეთებზე, სასწავლო სახელოსნოებში, იმართება სასწავლო ხასიათის ექსკურსიები, მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ჩაბმულია საგნობრივ და ტექნიკურ წრეებში.

სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების შემოღებამ, სწავლა-აღზრდის ახლებურად გარდაქმნამ და მოსწავლე ახალგაზრდობის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა-ჩვევებით შეიარაღებამ დიდად შეუწყო ხელი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმასა და ცხოვრების ფართო გზაზე გამოსვლაში. ყოველწლიურად იზრდება ჩვენი ქალაქის სკოლების იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ ებმებიან სოციალისტურ შრომაში, წარმატებით ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას და მაღალნაყოფიერ შრომას ეწევიან ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე. ქუთაისის სკოლებიდან 1952-53 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან 39 ჩაება საწარმოო შრომაში, 1953-54 სასწავლო წელს — 93, ხოლო 1954-55 სასწავლო წელს — 162.

სკოლებში დამთავრდა გამოცდები. მალე მეთერთმეტეკლასელები მიიღებენ სიმწიფის ატესტატებს, გამოემშვიდობებიან მშობლიურ სკოლას და გაემგზავრებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებლებში. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ახალი ამოცანები გადაუდებლად მოითხოვენ, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი სიმწიფის ატესტატით წავიდეს უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ და ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

წელს ქუთაისში სიმწიფის ატესტატს მიიღებს 900-ზე მეტი ახალგაზრდა. მათი ერთი ნაწილის სურვილია სწავლა განაგრძოს სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში, მრავალს კი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩაებას საწარმოო შრომაში, სკოლიდან უშუალოდ წავიდეს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

მე-6 საშუალო სკოლის 16 ახალგაზრდამ გადაწყვიტა სიმწიფის ატესტატით წავიდეს წარმოებაში და დაუსწრებლად მიიღოს უმაღლესი განათლება. მე-12 საშუალო სკოლის 21 კურსდამთავრებულის სურვილია სამუშაოდ წავიდეს საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დ. თოფურია და გ. ფაჩუაშვილი იმუშავებენ ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო ა. ჩაბაკაური, ნ. შარვაძე, ე. გაბიძაძე და სხვები — აბრეშუმის კომბინატში. საავტომობილო ქარხანაში სამუშაოდ წავლენ მე-7 სკოლიდან ე. რიაბუხა და რ. მიქაუტაძე, 21-ე სკოლიდან — გ. ქომეთიანი, მ. კეზევაძე და სხვ. მე-20 სკოლის 48 კურსდამთავრებულიდან 28 აპირებს სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში, ორი ჩაებმება საკოლმეურნეო შრომაში, ხოლო 18-ს გადაწყვეტილი აქვს იმუშაოს საწარმოებში.

უეჭველია, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი გამოიჩენს პატრიოტულ მისწრაფებას — სამუშაოდ წავიდეს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, თავისი წვლილი შეიტანოს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში.

ი. ბალანჩივაძე,
ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

ხეხილის ბაღების შეწამვლა სტალინირის რაიონის სოფელ ქურთას მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში.
ფოტო ხ. ონანოვისა.

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრის ასპინძის მიდამოები ამ უკანასკნელ წლებში მწვანე ნარგავებით დაიფარა.

ქუჩების პირას და მთავარ სკვერში დარგეს 5.000 ძირზე მეტი დეკორაციული მცენარე. ახლახან კიდევ გააშენეს ერთი პატარა სკვერი, სადაც დაიდგა დიდი ქართველი პოეტის შ. რუსთაველის ძეგლი.

ქუჩებსა და ტროტუარებზე 9.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაგებულია ასფალტი.

რაიონულ ცენტრში აშენდა მუშამოსამსახურეთა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. დამთავრდა სამრეწველო კომბინატის ორსართულიანი ახალი შენობის აგება.

კოლმეურნეობათა ახალმშენებლობანი

ცხაკაია. (საკ. კორ.). ზემო ქალადიდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო აგურის ქარხანა, რომელიც წელიწადში დაამზადებს 80 ათას ცალ აგურს. კოლმეურნეობას ამით საშუალება მიეცემა განახორციელოს შიდასაკოლმეურნეო დამხმარე და სხვა სახის ნაგებობათა მშენებლობა. გათვალისწინებულია ააგონ მეცხოველეობის კაპიტალური სადგომი, კაპიტალურად შეაკეთონ კოლმეურნეობის კანტორის სახლი.

ხეხილის ახალი ბაღები

ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებში მეხილეობის შემდგომ განვითარებას ყოველწლიურად დიდი ყურადღება ექცევა. წელს 31 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ხეხილის ახალი ბაღი, სადაც 2.300-ზე მეტი ორწლიანი ადგილობრივი ჯიშის მსხლისა და ვაშლის ნამყენი დარგეს.

ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკურალეშის, ცხუკუშერის, წიფერჩის, უსახელოს, უცხერის, ნასპირისა და აღვის კოლმეურნეობებმა. (საკ. კორ.).

ივანე ალექსის-ძე ლიხაჩოვის დაკრძალვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 ივნისს მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ ივანე ალექსის-ძე ლიხაჩოვს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრს.

დილიდანვე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც კრემაციის შემდეგ დადგმული იყო ურნა განსვენებულის ნეშტით, განუწყვეტლივ მიდიოდნენ სამრეწველო საწარმოთა მუშები, ინჟინრები, სამინისტროების მუშაკები, მეცნიერები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რათა უკანასკნელი ვალი მოეხადათ სამშობლოს ერთგული შვილის, სოციალისტური მრეწველობის ნიჭიერი ხელმძღვანელის წინაშე.

დარბაზში ქარხნების კოლექტივთა, სამინისტროების მუშაკთა მრავალი გვირგვინია. კვარცხლბეკი, რომელზეც დადგმულია ურნა, ცოცხალ ყვავილებშია. გაისმის სამგლოვიარო მუსიკა, სიმფონიური ორკესტრი ასრულებს ბეთჰოვენის, შოპენის, ბახის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს.

16 საათი და 30 წუთია. კვარცხლბეკიდან გადმოიღეს ურნა ი. ა. ლიხაჩოვის ნეშტით და დარბაზიდან გამოასვენეს.

სამგლოვიარო პროცესია ნელა მიემართება წითელი მოედნისაკენ. წინ მიაქვთ გვირგვინები, ი. ა. ლიხაჩოვის პორტრეტი, ატლასის ბალიშებზეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი, საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები, რომლებითაც დაჯილდოებული იყო ივანე ალექსის-ძე ლიხაჩოვი სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის. წითელი მოედანი. აქ ი. ა. ლიხაჩოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე შეიკრიბა ათასობით მოსკოველი.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა.

მიტინგზე გამოვიდნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. მალიშევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსაგან — რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, მოსკოვის მშრომელებისაგან — მოსკოვის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ა. გ. კრილოვი, რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებისაგან — ფ. ვ. კალაბუხოვი.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრებულია. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ჩამოდიან მავზოლეუმის ტრიბუნიდან და ფრთხილად იღებენ ურნას. სამგლოვიარო პროცესია მიემართება კრემლის კედლისაკენ. გაისმის საარტილერიო ზალპი. ურნა ი. ა. ლიხაჩოვის ნეშტით იდგმება კრემლის ძველი კედლის ნიშში და იხურება მარმარილოს ფილით. ფილაზე ამოკვეთილია წარწერა:

ივანე ალექსის-ძე ლიხაჩოვი

18 $\frac{15}{VI}$ 96   19 $\frac{24}{VI}$ 56

გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. (საკდესი).

მშენებლობის მოწინავეები გამოფენის მონაწილენი

აღსანიშნავია ის, რომ წელს გამოფენაში მონაწილეობის უფლება პირველად მოიპოვეს კოლმეურნეობებში მშენებლობის მოწინავეებმა. მაგალითად, გამოფენის მონაწილე გახდა მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილების გამგე ვ. საყვარელიძე, რომელმაც შარშან უზრუნველყო საძროხეების მშენებლობის გეგმის შესრულება 103,3 პროცენტით, სახბორეებისა — 103,3, საღორეებისა — 154, ხოლო სასილოსე კოშკების მშენებლობისა — 102,9 პროცენტით.

გამოფენის მონაწილენი გახდნენ აგრეთვე ამავე რაიონის სოფლების ობჩისა და როხის კოლმეურნეობების ბრიგადირები ვ. ჯანიაშვილი და ი. ლვინიანიძე, რომლებმაც უზრუნველყვეს მეცხოველეობაში მშენებლობის ყველა დავალების გადაჭარბებით შესრულება.

სოფელ ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს საძროხეების მშენებლობის დავალება შესრულებულ იქნა 120 პროცენტით, სასილოსე კოშკების მშენებლობისა — 100 პროცენტით, ხოლო სოფელ როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საძროხეების მშენებლობის გეგმა შეასრულეს 190 პროცენტით, საღორეებისა — 154 პროცენტით, სასილოსე კოშკებისა კი 110 პროცენტით.

ახალციხის რაიონში 1955 წელს საძროხეების მშენებლობის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, სახბორეებისა — 100, საღორეებისა — 109, ხოლო სასილოსე კოშკების მშენებლობისა — 101,3 პროცენტით. ამ მაჩვენებლებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილების გამგემ ს. ბერიძემ.

1955 წელს ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის გამოფენის მონაწილე გახდა მრავალი სპეციალისტი. მათ შორის არიან: რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი კ. მიხაილიდი, მთავარი ზოოტექნიკოსი გ. კუპრეიშვილი, მთავარი ვეტექიმი ა. კომახიძე, აგრონომი ნ. ლომაძე, ზოოტექნიკოსი ნ. რუხაძე.

ეს მაგალითები იმას მოწმობენ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მრავალფეროვან სოფლის მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება მოწინავეთა რიგები, რომლებიც ამრავლებენ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.

ენგურის ხეობაში

ზღვის დონიდან ათასოთხასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზემო სვანეთის ცენტრი მესტია. ორი ათეული წლის წინათ ამ რაიონში მგზავრობა მხოლოდ და მხოლოდ ცხენით ან ფეხით იყო შესაძლებელი. რამდენი ჯაფა სჭირდებოდათ ადგილობრივ მკვიდრთ — სვანებს იმისათვის, რომ გადაელახათ ტყით დაბურული მთები, გაევლოთ ხეობები დარსა თუ ავდარში! დიდი წვალებით მთელ კვირეებს ანდომებდნენ ქუთაისსა თუ ზუგდიდში ჩასვლას რამდენიმე კილოგრამი მარილისათვის.

რამდენი ღამე თეთრად გაუთენებიათ სვანებს ასეთ გაუთავებელ, მეტად ძნელ და სახიფათო გზებზე. რამდენი მსხვერპლის მოწმეა მარად დაუდეგარი მდინარე ენგური, რომელიც ღრმა უფსკრულში ვეებერთელა ქვების წინაშე ქედს არ იხრის, მუდამ გაშმაგებული ახეთქებს ტალღებს მთის კედლებს და ეგრეთწოდებულ „თეთრ კვამლს" აყენებს. მაგრამ ადამიანებმა დაიმორჩილეს ეს შმაგი მდინარე, ნაპირები გაუმაგრეს, კლდეები შეავიწროვეს და საცალფეხო ბილიკის ნაცვლად საავტომობილო გზა გაიყვანეს.

და აი, ოციოდე წლის წინათ პირველი ავტომანქანები გამარჯვებული ჯარისკაცებივით შეიჭრნენ რაიონის ცენტრში მარშრუტით: — ზუგდიდი — ჯვარი — ხაიში — მესტია. ახლა ავტომანქანები ამ გზას — 136 კილომეტრზე მეტს ფარავენ 6-7 საათში, მსუბუქი მანქანები კი 4-5 საათში.

— საინტერესოა მგზავრობა სვანეთში, — გვეუბნება ჩვენი თანამგზავრი ივანე ხუბუტია, რომელიც ჯვარში ცხოვრობს და ამ გზებს, სვანეთის მშვენიერ ბუნებას, მისი ლაღი, გაბედული ადამიანების ცხოვრებას კარგად იცნობს. ივანე გვიყვება, თუ როგორ მედგრად იცავდნენ სვანები ზურგის სიმტკიცეს დიდი სამამულო ომის დროს. მან გაიხსენა ფაშისტ დამპყრობთა თვითმფრინავებიდან სვანეთის ტყეებში პარაშუტებით ჩამოსხმული დესანტების განადგურება. თვითონ ივანე მონაწილეობდა ოპერაციებში.

— ერთხელ ცნობა მოვიდა, — ამბობს ივანე, — ჯვარიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით ტყეში მტრის დესანტებიაო. გამანადგურებელი ბატალიონის წევრები წავედით დავალების შესასრულებლად. როცა მათ ალყა შემოვარტყით, არ გვნებდებოდნენ, მაგრამ ჯიუტობა არ გაუვიდათ. ყველანი დავიმორჩილეთ, გარდა ერთისა, რომელმაც მოასწრო მრისხანე ენგურში პირდაპირ ჩაშვება. ერთხელ კი გაიქნია ხელები, ალბათ ეგონა ცურვა გამოადგებოდა. მაგრამ ენგურმა იგი სწრაფად გაიტაცა, მიახეთქა ვეებერთელა ქვებს და სოფელ ჯვარის ნაპირზე გარიყა.

ბევრი რამ საინტერესო გვიამბო ივანემ...

გზის პირველი ნახევარი, 70 კილომეტრზე მეტი, გავიარეთ და ხაიშში ჩავედით. აქ ივანე გამოგვემშვიდობა, კეთილი მგზავრობა გვისურვა მესტიამდე გზის მეორენახევრის გავლაში.

ნაშუადღევი იყო. ხაიშის ირგვლივ ხშირი ტყით დაფარული მთები მოიღუშა. ღრუბლები აირივნენ მთის მწვერვალებზე, ცოტა ხნის შემდეგ წვიმამ დაუშვა. იმ საღამოს მგზავრობის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა. აქ მასპინძლობა გაგვიწია ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორმა გ. ხუფენიამ. მეორე დღეს ცა მოწმენდილი იყო. მზემ მაცოცხლებელი სხივები გადმოაფრქვია და კიდეც დათბა.

განვაგრძეთ გზა მესტიისაკენ. კვლავ სახიფათო გზები... მძღოლის ოდნავი შეცდომა, და მრისხანე ენგური მზად არის ყოველგვარი „ნადავლის" მისაღებად...

გამოჩნდა სოფლები, რომლებსაც ირგვლივ მთები და ტყეები აკრავს. ამ სოფლებში კვლავ ამაყად დგანან უამრავი ციხე-კოშკები, რომლებიც დაახლოებით მე-9-მე-10 საუკუნეებშია აგებული. ჰუბერი, ტიტა, ლენჯერი, იდლიანი, იფარი, ადიში, ლახამულა, ეცერი, ბეჩო — კვლავ გვიხსნის მძღოლი. მან იცის, რომ ამ გზაზე პირველად ვართ. ახლა სვანეთის სოფლებში ციხე-კოშკების გვერდით ლამაზი, მეტწილად ორსართულიანი სახლებია ჩამწკრივებული. კარგახანია კულტურული გახდა ცხოვრება შორეული მთის სოფლებში. ბეჩოდან ნათლად ჩანს მუდამ თოვლით დაფარული მრისხანე უშბა. იმ დღეს ეს მწვერვალი თავისუფალი იყო მუდმივი ნისლისაგან. ამიტომ სულ ახლოს გვეგონა, თუმცა ათეულობით კილომეტრით იყო დაშორებული ჩვენგან.

— ამ ადგილს „შავ ღელეს" ეძახიან, — თქვა მძღოლმა. მანქანამ ბუქსაობა დაიწყო, მაგრამ მალე შედარებით კარგ გზაზე გავედით. შემდეგ მანქანამ სიჩქარეს უმატა და მესტიაში შევედით.

საუცხოო სანახავია შორეული მთიანი რაიონის ცენტრი. ირგვლივ დაბურული ტყეებია. იმ დღეს მზე კარგად აცხუნებდა და თვალუწვდენი მთებიდან მონაბერი სიო აგრილებდა იქაურობას.

პარტიის რაიკომის მდივანს ამხ. ს. ჭკადუას გავაცანით ჩვენი ჩასვლის მიზანი და შემდეგ სვან მეცხოველეებს ვესტუმრეთ.

მესტიის რაიონში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში მთელ რიგ კოლმეურნეობებში ეს დარგი რენტაბელური გახდა. მაგრამ საერთოდ მეცხოველეობა მაინც ჩამორჩენილია. რაიონში წელს გეგმით უნდა ჰყავდეთ 7.740 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ფაქტიურად ჰყავთ 7.554. ძროხების სულადობის გეგმის შესრულებას 209 სული აკლია. 10 ივნისისათვის რაიონში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო 462 კილოგრამი რძე, წლიური გეგმა კი 980 კილოგრამის მიღებას ითვალისწინებს. მესტიელები ჩამორჩნენ აგრეთვე ხორცისა და რძის სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებაში. მაგრამ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ნაკლის გამოსწორება სავსებით შესაძლებელია.

— საზოგადოებრივი მეცხოველეობა, — ამბობს მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აგრონომი ა. ჯაფარიძე, — აღმავლობის გზას დაადგა. მიმდინარე სამეურნეო წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა რძის წარმოება. მართალია, ჩვენში ზამთარი თითქმის 6 თვეს გრძელდებოდა, მაგრამ პირუტყვი მაინც უზრუნველვყავით საკვებით, არ მოვაკლეთ მოვლა-პატრონობა.

— როგორია წველადობის შედეგები განვლილ 8 თვეში?

ამ კითხვაზე თავმჯდომარემ მაგიდაზე გაშალა გეგმა-გრაფიკი და თქვა: აქ ნაჩვენებია რა უნდა გააკეთოს ფერმამ, თვითეულმა მწველავმა თვეების მიხედვით, რამდენი კილოგრამი რძე უნდა მიიღოს. ამის მიხედვით სისტემატურად ვამოწმებთ მდგომარეობას, ვეხმარებით მათ, და შედეგებიც კარგი გვაქვს. 1 ივნისისათვის 107 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მიღებულია 805 კილოგრამი რძე. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკისრი ვალდებულება — თვითეულ ძროხაზე 1.200 კილოგრამი რძის მიღება — გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

— რვა თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.290 კილოგრამი რძე! ეს ჩვენს პირობებში კარგი მაჩვენებელია. იგი ეკუთვნის წარჩინებულ მწველავს ნ. მარგიანს, რომელიც ამით არ კმაყოფილდება და იბრძვის იმისათვის, რომ წელს საშუალოდ თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა აიყვანოს 2.500 კილოგრამამდე. ასეთი მოწინავე ბევრი გვყავს. მწველავმა ლ. ფალიანმა მკაცრი ზამთრის პირობებში ძროხების კარგი მოვლით 1 აპრილამდე თვითეულ ძროხაზე მიიღო 572 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400 კილოგრამისა. მას 1 ივნისისათვის 14 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მოწველილი აქვს 882 კილოგრამი რძე, წლიური გეგმა კი 1.000 კილოგრამს ითვალისწინებს.

ამ წარმატებებში სერიოზული წვლილი შეაქვთ კომუნისტებს. ფერმის გამგე მ. ხერგიანი უნარიანად უძღვება მინდობილ საქმეს. ასევე უნდა ითქვას ზოოტექნიკოს გ. რატიანზე, ვეტფერშალ ც. ნაკანზე და სხვებზე. აქაურ მეცხოველეებს 120 სული პირუტყვისათვის კარგი სტანდარტული სადგომი აქვთ. ამდენივე სულისათვის სადგომის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. 1 ოქტომბრამდე დაამთავრებენ მწყემსების საცხოვრებელი რვაოთახიანი ბინის მშენებლობას, პირუტყვისათვის აფართოებენ საკვებ ბაზას.. წელს დაამზადებენ 400 ტონა სილოსს ნაცვლად შარშან დამზადებული 210 ტონისა. სასილოსედ იყენებენ ბალახებს, აგრეთვე, რაც მთავარია, სიმინდს, კომბოსტოს ფოთლებს. 6 ჰექტარზე დათესილი აქვთ საკვები ჭარხალი, რომელიც დიდ მოსავალს იძლევა.

სოფელი მულახი მესტიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მეთორმეტე კილომეტრზე მდებარეობს. ეს სოფელი რაიონში ყველაზე დიდია. გაშენებულია ფერდობზე. აქ ცხოვრობს 253 კომლი. სოფელს ამაყად გადმოყურებს სახელგანთქმული თეთნულდი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან თითქმის 5.000 მეტრია.

ამ სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საზოგადოებრივ მეცხოველეობას წამყვანი ადგილი უკავია. ზოოტექნიკოსი მ. ზურებიანი საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას. იგი საკოლმეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორია. მან პარტიული ორგანიზაციის, აქტივის დახმარებით კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში გამოიყვანა. მესტიის რაიონში ეს კოლმეურნეობა ერთადერთია, რომელიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებისათვის. გასულ წელს მულახელებმა 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 175 ცენტნერი კარტოფილი და წელს იბრძვიან 200 ცენტნერის მიღებისათვის.

ამ კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ამჟამად ჰყავთ 975 სული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 961-სა. მათ შორის 262 ძროხაა. კოლმეურნეობის ფერმები სამ ადგილას არის განლაგებული. მათ კარგი კაპიტალური სადგომები აქვთ, სადაც დიდიხანია ფიქრობენ მექანიზაციის განხორციელებას, მაგრამ სათანადო ხელშეწყობა არა აქვთ, საჭირო მანქანებისა და მასალების მოლოდინში არიან.

ზაფხულის პირველი დღეებიდანვე იმატა წველადობამ. გაიანგარიშეს და სრულიად რეალურად მიაჩნიათ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.150 კილოგრამი რძე. უკვე მოწველილია 600 კილოგრამზე მეტი.

— კარგი მოვლის პირობებში, — ამბობს აქაური მოწინავე მწველავი შურა ქალდანი, — ჩვენი ადგილობრივი ძროხები რძეს უხვად იძლევიან. თუკი მოხდება ამ ძროხების ჯიშობრივი გაუმჯობესება, ცხადია, პროდუქტიულობა უფრო მაღალი იქნება. ამ სიტყვებს ამტკიცებს თვით შურა ქალდანის შრომითი შედეგები. იგი ადგილობრივი ჯიშის 12 ძროხას უვლის და 1 ივნისამდე საშუალოდ თვითეულზე მიღებული აქვს 1.012 კილოგრამი რძე. კარგი მაჩვენებელია! ახლა ბრძოლას განაგრძობს იმისათვის, რომ წელს თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღოს 1.500 კილოგრამი რძე.

მესტიის რაიონის მეცხოველეებმა წელს ვალდებულება იკისრეს საშუალოდ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველონ 980 კილოგრამი რძე ანუ გასულ წელთან შედარებით 227.652 კილოგრამით მეტი, სანიმუშოდ მოუარონ ნამატს, უზრუნველყონ მისი შენარჩუნება, დაამზადონ 117 ათასი ცენტნერი უხეში საკვები, გადაჭარბებით შეასრულონ სილოსის დამზადების გეგმა, სადგომების მშენებლობა დაამთავრონ 1 ოქტომბრისათვის და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ზამთარს.

მესტიელ მეცხოველეებს ახლა პირუტყვი საზაფხულო იალაღებზე ჰყავთ. ეს პერიოდი ძირითადად გადაწყვეტს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ბედს. ამიტომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ მათ, ყველა პირობა შევქმნათ მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის ზემო სვანეთში.

ნ. ჯანჯღავა,
გ. ნოდია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში





ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

წელს მთავრდება ხარბინის ელექტროხელსაწყოთა ქარხნის რეკონსტრუქცია. საწარმო შეუდგა მრეწველობისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის სხვადასხვა ტიპის ზუსტ საზომ ელექტროხელსაწყოთა სერიულ გამოშვებას.

სურათზე: ქარხნის ტექნიკოსი ვან გუი-ფანი (ცენტრში), რომელსაც საწარმოო პრაქტიკა გავლილი აქვს საბჭოთა კავშირში, ახალგაზრდა მუშებს აცნობს ხელსაწყოთა აწყობის მეთოდებს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა

რუმინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები აქტიურად ეუფლებიან აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ცოდნას.

სურათზე: მეცადინეობა აგროტექნიკურ წრეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

მარტინ ანდერსენ ნექსეს სახელობის ღრმა მოხუცთა სახლი ლაიპციგში ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იქ ცხოვრობს 530 პენსიონერი. მათთვის შექმნილია კარგი პირობები. პენსიონერებისათვის უზრუნველყოფილია კვება, საექიმო მომსახურება და მოვლა.

ღრმა მოხუცთა სახლი დიდ დოტაციას იღებს სახელმწიფოსაგან.

სურათზე: ღრმა მოხუცთა სახლის ბიბლიოთეკაში.

საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი ს. რადჰაკრიშნანი

კიევი, 26 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში 11 დღის ყოფნის შემდეგ დღეს კიევიდან ბუქარესტში გაფრინდა ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი სარვაპალი რადჰაკრიშნანი.

კიევის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით, ინდოელი სტუმრის გასაცილებლად მოვიდა უკრაინის დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

ვიცე-პრეზიდენტი გააცილეს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, ჟურნალისტებმა.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ და ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა დოქტორმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ვიცე-პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით რუსულ ენაზე:

— ნახვამდის, კიევო!

— ნახვამდის, უკრაინავ!

— ნახვამდის, საბჭოთა კავშირო!

დოქტორი ს. რადჰაკრიშნანი გულთბილად გამოეთხოვა გამცილებლებს. თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა და ბუქარესტისაკენ გაემართა.

დამთავრდა მაღალი ენერგიების ნაწილაკთა ფიზიკის პრობლემათა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ქენევა, 25 ივნისი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა მაღალი ენერგიების ნაწილაკთა ფიზიკის პრობლემათა საერთაშორისო კონფერენციამ (სემინარმა), რომელიც მოეწყო ევროპის ატომგულის გამოკვლევი ორგანიზაციის ინიციატივით. კონფერენცია 12 დღეს გაგრძელდა.

აზომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საბჭოთა გამოფენაზე პეკინში

პეკინი, 26 ივნისი. (საკდესი). 15 ივნისიდან პეკინში გაიხსნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური გამოფენა. გამოფენისადმი ჩინელი საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს მოწმობს მნახველთა დიდი რაოდენობა.

პირველ 10 დღეში გამოფენა დათვალიერა დაახლოებით 30 ათასმა კაცმა, მათ შორის თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიულმა მოღვაწეებმა, მეცნიერებმა და სტუდენტებმა. დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა და ჩინეთის სხვადასხვა რაიონის დელეგაციებმა, აგრეთვე პეკინში მყოფმა უცხოელთა დელეგაციებმა, საელჩოთა მუშაკებმა. ცალკეულ დღეებში გამოფენის მნახველთა რიცხვი 4,5 ათას კაცს აღემატებოდა.

ამჟამად შეტანილია 400 ათასი კაცის კოლექტიური განცხადები გამოფენის დათვალიერების შესახებ.

როგორც საკდესის კორესპონდენტს გამოფენის დირექციაში განუცხადეს, განმასხვავებელი თავისებურება ამ გამოფენისა, რომელიც წინათ ქენევასა და დელში იყო ექსპონირებული, ის არის, რომ პეკინში გამოფენამ ყველაზე მეტად მიიღო გამოცდილების გადაცემის სკოლის ფუნქცია, მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში სპეციალისტთა კადრების მომზადების ფუნქცია. პეკინის გამოფენა გაფართოებულია დამატებით განყოფილებათა შექმნით და უახლესი ექსპონატებით.

ამჟამად გამოფენაზე სისტემატურ სწავლაში ჩაბმულია 150-ზე მეტი კაცი. უახლოეს ხანში ამ სწავლაში ჩაბმული იქნება დაახლოებით 1.500 კაცი — მეცნიერი მუშაკები, შესაბამის უმაღლეს სასწავლებელთა უფროსი კურსების სტუდენტები და სხვადასხვა სპეციალისტები, რომლებისთვისაც საბჭოთა სპეციალისტებმა მოამზადეს მოხსენებანი, ლექციები და სტატიები, რაც ფართოდ იბეჭდება ჩინეთის სპეციალურ და პოპულარულ პრესაში.

დაახლოებით 30 ათასმა მნახველმა გამოფენაზე ინტერესით ნახა ჩინურ ენაზე დუბლირებული ფილმები „მსოფლიოში პირველი“ და „რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება მშვიდობიანი მიზნით“. სპეციალისტებისათვის უჩვენებენ აგრეთვე სპეციალურ მეცნიერულ ფილმებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების შესახებ.

გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში გაითხლართნი აღფრთოვანებულ ჩანაწერებს იმის შესახებ, თუ რა მიღწევები აქვს საბჭოთა ხალხს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში, მადლობის სიტყვებს დიდი სარგებლობისათვის, რომელსაც ეს გამოფენა მოუტანს ჩინეთში ატომური მრეწველობის შექმნის შედარებით მოკლე ხანში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გო მო-ჟომ შემდეგი ჩანაწერი გააკეთა წიგნში: „ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს მაქსიმალურად ავამაღლოთ კაცობრიობის მატერიალური და კულტურული დონე.

რაც შეეხება ჩინეთს, ჩვენ 12 წელიწადში ძირითადად ავაშენებთ სოციალიზმს. ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ ამ დარგში კვლევითი მუშაობის განვითარებას, რათა მეცნიერებასა და კულტურაში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დონეს მივაღწიოთ.

გულითად მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს დიდი და უანგარო დახმარებისათვის“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 26 ივნისი. (საკდესი). დღეს 17 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით დაიწყო უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა არაბთა და აზიის ქვეყნების ჯგუფის წინადადებათა განხილვას იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას ალჟირის საკითხი უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში.

სხდომის დასაწყისში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა წინადადება შეიტანა განუსაზღვრელი დროით გადაიდოს ამ საკითხის განხილვა, მაგრამ ხმების უმრავლესობით ეს წინადადება უარყვეს.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ალფანმა სთხოვა საბჭოს არ შეიტანოს თავის დღის წესრიგში ალჟირის მდგომარეობის საკითხი იმ საფუძველზე, რომ საბჭო კომპეტენტური არ არის განიხილოს ალჟირის საკითხი, რამდენადაც ეს საფრანგეთის საშინაო საქმეა.

არაბთა და აზიის ქვეყნების ჯგუფის წინადადების დასაცავად გამოვიდა ირანის წარმომადგენელი აბდოჰი.

საფრანგეთისა და ირანის წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 23 საათამდე მოსკოვის დროით.

ეგვიპტის პრეზიდენტის სიტყვა კაიროს ოფიცერთა კლუბში

ქაირო, 26 ივნისი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ახალი კონსტიტუციის სახალხო მოწონებისა და ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტად გამალ აბდელ ნასერის არჩევის გამო გუშინ კაიროს ოფიცერთა კლუბში ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს წევრთა პატივსაცემად გაიმართა სადილი, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გამალ აბდელ ნასერმა. დამსწრეებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს პრეზიდენტ ნასერს.

თავის სიტყვაში გამალ აბდელ ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა დიდი როლი, რომელიც შეიარაღებულმა ძალებმა შეასრულეს მონარქიული წყობილების დამხობასა და ეგვიპტეში რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებაში. 1952 წლის 23 ივლისს, თქვა ნასერმა, ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს წმიდა ლაშქრობა სამშობლოს განთავისუფლებისათვის და ხალხის ეროვნული მისწრაფების განხორციელებისათვის. ამ წმიდა ლაშქრობას სათავეში ჩაუდგნენ ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს ოფიცრები. 1952 წლის 23 ივლისს მოპოვებულ გამარჯვებას მოჰყვა უცხოელთა ჯარების ევაკუაცია და ეგვიპტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ბრძოლის პირველი ეტაპი, თქვა ნასერმა, დამთავრდა, მაგრამ ხალხი განაგრძობს წმიდა ლაშქრობას სამშობლოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის, თავისუფლებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის, ნამდვილი სოციალური სამართლიანობის განხორციელებისათვის.

ახლა, თქვა ნასერმა, როცა ხალხმა თავისი ნება გამოთქვა და პლებისციტის შედეგები გამოცხადდა, ეგვიპტე თავისი განვითარების ახალ ფაზაში შედის. ეგვიპტელი ხალხი ასე დარაზმული არასოდეს არ ყოფილა. ხალხმა იცის თავისი გზა, და იცის, თუ რა მიზნებს ესწრაფვის.

ნასერმა თქვა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მას და დიდ ამოცანებს უსახავს. ჩემს ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, თქვა ნასერმა, ვიხელმძღვანელებ მხოლოდ ეგვიპტის ინტერესებით და ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი სინდისი მიკარნახებს.

შემდეგ პრეზიდენტმა ნასერმა ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს წევრებს გადასცა ორდენები, რომლებითაც ისინი დაჯილდოებული არიან საზოგადოების წინაშე მათი დამსახურების აღიარების ნიშნად.

ბირმამ ცნო მაროკო და ტუნისი

რანგუნი, 27 ივნისი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ბირმის კავშირის მთავრობამ ცნო მაროკო და ტუნისი როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმი

ბრიუსელი, 26 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დრაპო რუჟი“ იუწყება, ამ დღეებში ბრიუსელში გაიმართა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ერნესტ ბიურნელის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგების შესახებ და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ჟან ბლუმის მოხსენება ბელგიაში მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივების შესახებ. ამ საკითხებზე პლენუმმა მიიღო რეზოლუციები.

პლენუმმა მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს გადიდდეს ბელგიის მშრომელთა ხელფასი სიძვირის ზრდასთან დაკავშირებით.

რაჯიფიკაცია ჩინეთ-ეგვიპტის შეთანხმებისა კულტურული თანამშრომლობის შესახებ

პეკინი, 27 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა დაამტკიცა შეთანხმება ჩინეთისა და ეგვიპტის კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1956 წლის 15 აპრილს დაიდო კაიროში.

უცხოეთის დელეგაციები საქართველოში

საქართველოში ხუთ დღეს იყო საზოგადოება „შვეიცარია-სსრ კავშირის“ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი მარკ რობერტ ოლტრამარი.

სტუმრებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს რესპუბლიკის ცხოვრებისადმი. ისინი იყვნენ ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, დაათვალიერეს ქალაქი რუსთავი, ეწვივნენ მუშებს ბინებში.

დელეგაციის წევრები გაეცნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს დედისა და ბავშვის დაცვის ინსტიტუტის მუშაობას.

საზოგადოება „შვეიცარია-სსრ კავშირის“ წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაკებს, საქართველოს ძესიკალური კულტურის მოღვაწეებს. დელეგაციის წევრი კომპოზიტორი, ეენევის რადიოს მუსიკალური განყოფილების დირექტორი როჟე ვიუატაზი გამოვიდა თბილისში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტში.

თბილისიდან საზოგადოება „შვეიცარია-სსრ კავშირის“ დელეგაცია აფხაზეთში გაემგზავრა. აქ სტუმრები გაეცნენ სოხუმის ღირსშესანიშნაობებს, საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციას გალის რაიონის სოფელ ოქუმის ვ. ი. ლენინის სახელობის არტელში, რესპუბლიკის კურორტებს.

27 ივნისს საზოგადოება „შვეიცარია-სსრ კავშირის“ დელეგაცია სოხუმიდან მოსკოვში გაფრინდა.

* * *

საქართველოში სტუმრად არის საზოგადოება „ავსტრია-სსრ კავშირის“ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების გენერალური მდივანი გრიუნბერგი.

დელეგაციის წევრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქს. ისინი გაემგზავრნენ მცხეთაში, დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ავსტრიელმა სტუმრებმა რამდენიმე საათი გაატარეს წყნეთის პიონერბანაკში, სადაც რკინიგზელთა ბავშვები ისვენებენ.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში მათ უჩვენეს დოკუმენტალური კინოფილმები „საბჭოთა საქართველო“ და „საქართველოს ციკვები“.

საზოგადოება „ავსტრია-სსრ კავშირის“ დელეგაცია 26 ივნისს თბილისიდან სოხუმში გაემგზავრა. (საქდესი).

ნეკროლოგი

აბრამ მალხაზისძე დავითაშვილი

გარდაიცვალა გურჯაანის რაიონში ასაკოვანი გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. აბრამ მალხაზის-ძე დავითაშვილი.

ამხ. ა. დავითაშვილი დაიბადა 1909 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში. იგი ცრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ სამუშაოზე გურჯაანის რაიონში. იყო გურჯაანის მტს-ის დირექტორი, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, შემდეგ კი კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ყველა პოსტზე, სადაც კი მუშაობდა, ამხ. ა. დავითაშვილი გამოირჩეოდა ენერგიულობით, მინდობილი საქმისადმი დიდი სიყვარულით. ამიტომ იყო, რომ პარტია მას სამუშაოდ გზავნიდა სოფლის მეურნეობის პასუხსაგებ უბნებზე და იგი ყოველთვის ამართლებდა ნდობას და თავისი ორგანიზატორული მუშაობით სერიოზული წვლილი შეჰქონდა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში. მისი შრომითი თავდადება პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს. ამხ. ა. დავითაშვილი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით და მედლებით.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

წყალბურთელთა ასპარეზობა

ნეაპოლში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალბურთში სსრ კავშირის, უნგრეთის, იტალიის, რუმინეთისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

დასკვნითს შეხვედრებში სსრ კავშირის წყალბურთელებმა მოუგეს რუმინეთისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდებს 3 : 2, 5 : 1, იტალიელმა სპორტსმენებმა — უნგრეთის გუნდს 2 : 1.

უნგრეთისა და სსრ კავშირის გუნდებმა მოგვიანებით ექვს-ექვსი ქულა, მაგრამ უნგრელ წყალბურთელებს ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ, ამიტომ პირველი ადგილი მათ მიეკუთვნა. მეორე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის გუნდი, მესამეზე — იტალიის წყალბურთელთა კოლექტივი (5 ქულა).

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი. **27 ივნისი.** დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. მატჩი დამთავრდა მოსკოვის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

29 ივნისს დღის 4 საათზე საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული ბიბლიოთეკის სალექციო დარბაზში **გაიხსნება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა თბილისის პირველი საქალაქო კონფერენცია.**

მანდატების გაცემა და დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს საზოგადოების განყოფილებაში (ლენინის ქ. 35, ლ. კეცხოველის სახელობის პარტბიბლიოთეკა, ტელ. №№ 3-87-84 და 3-10-53) 28 ივნისს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, 29 ივნისს — დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების საორგანიზაციო კომიტეტი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დონ-კიხოტი, **რუსთაველის სახელობის** — ოტელო, **მარჯანიშვილის სახელობის** — პიგმალიონი, **გრიბოედოვის სახელობის (ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლები)** — ქალბატონ დულსკაიას მორალი, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, თბილისი, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — პოლიციელები და ქურდები, **ფილარმონიის ბაღი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო და საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — სიყვარულის სინათლე, **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **კოლხიდა** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო)—ქალიშვილი და მუხა, **კოლმეურნე, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — დაღუპული ცხოვრება, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — მუჯირითე ქალიშვილი; **დიდუბე** (საზაფხულო) — ირენა, სახლში.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზაფხულო თეატრი

(პლეხანოვის პრსპ. № 123)
ხუთშაბათს, 28 ივნისს

მსოფლიოს ახალგაზრდობის მე-4 (ბუქარესტის) ფესტივალის ლაურეატი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტების, სტალინური პრემიის ლაურეატების

ნინო რამიშვილისა
და
ილიკო სუხიშვილის

მხატვრული ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექცია აცხადებს, რომ ქარხანაში **ექსკურსიები დაშვებულ იქნებიან მხოლოდ კვირადღეებში** საექსკურსიო ბიუროს საგზურებით.

ქარხნის დირექცია.

„გიპრომეზის“ **ამიერკავკასიის ფილიალი** იუწყება ფილიალის ტექნოლოგიური სექტორის უფროსის ინჟინერ

გიორგი გიორგის-ძე დგებუაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VI, 6 ს. საბჭოს ქ. № 15.

მეუღლე დაგმარა, შვილი ივეტა, სიძე ბ. ავალიშვილი და შვილიშვილი იუწყებიან

გიორგი მიხეილის-ძე ჩარეკაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI. 8 ს. გამოსვენება 30-VI, 5 ს. ბინიდან, ბელინსკის ქ. № 7.

დედა ნინო, მეუღლე ანა, შვილები ლადო, ნუნუ, ძმა იოსებ იუწყებიან რესპუბლიკის ღამსახურებული ექიმის

ივანე ვლადიმერის-ძე ბახუტაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VI, 8 ს. გამოსვენება 30-VI, 6 ს. დუშეთის ქ. № 12.

მეუღლე პელაგია, შვილები თამარ, ნინო, ძმა ვლადიმერ ოჯახით, რძალი ელენე, სიძეები გ. კვინიკაძე, თ. ბერძენიშვილი და შვილიშვილები იუწყებიან

მოსე იოსების-ძე კვაჭანტირაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VII, 5 ს. სოფელ ზომლეთში (ჩოხატაურის რ.).

შვილები ვალერიან, ოლღა, ნადია, რძალი თამარ, შვილიშვილები იუწყებიან

მარიამ უშანგის ასულ როგავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VII, სოფელ ყვიბისში (ბორჯომის რაიონი).

მსოფლიოს რუკასთან

ი რ ა ნ ი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია.

ირანი მრავალეროვანი სახელმწიფოა. იგი მდებარეობს აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია უდრის 1 მილიონ 645 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა 20 მილიონს აღემატება. დედაქალაქია თეირანი, სადაც მილიონზე მეტი მცხოვრებია.

სახელმწიფოებრივი წყობილების მხრივ ირანი კონსტიტუციური მონარქიაა. ირანის კონსტიტუციის თანახმად, შაჰს ენიჭება ფართო რწმუნებანი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების სფეროში.

საკანონმდებლო ხელისუფლება და კანონების გამოცემა ირანში ხორციელდება შაჰისა და პარლამენტის მიერ. პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან — სენატისა და მეჯლისისაგან. კანონები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ ხელს მოაწერს შაჰი.

აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება მთავრობის მიერ შაჰის სახელით. კონსტიტუციის თანახმად, შაჰი არ არის პასუხისმგებელი არც პარლამენტის, არც მთავრობის წინაშე. პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობა ყველა სახელმწიფოებრივი საქმისათვის ეკისრება მთავრობას.

შაჰი ნიშნავს მინისტრებს, სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებს. იგი აგრეთვე შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია.

ირანი ძირითადად მიწათმოქმედების ქვეყანაა. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ოთხი მეხუთედი. სოფლის მეურნეობაში მისდევენ პურის, ჭერის, ბრინჯის, ბამბისა და სხვა კულტურების მოყვანას. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობაში მებაღეობასა და მევენახეობას, აგრეთვე მეცხოველეობას.

ირანში ბევრია ბუნებრივი სიმდიდრე: ქვანახშირი, რკინის მადანი, სპილენძი, ტყვია, ქვამარილი, მაგრამ ქვეყნის ძირითადი სიმდიდრე ნავთობია რომლის მარაგი ორ მილიარდ ტონამდე აღწევს. რამდენიმე წლის წინათ ირანში ნაციონალიზებულ იქნა ნავთობის სარეწები და დაწესებულებები, რომლებიც ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიას ეკუთვნოდა. მაგრამ დაახლოებით ორი წლის წინათ შეიქმნა ირანის ნავთობის მოპოვების, გადამუშავებისა და გასაღების საერთაშორისო კონსორციუმი. კონსორციუმში ნავთობის 8 უცხოური მონოპოლია შევიდა.

ირანში მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. იქ არ არის მძიმე მრეწველობის საწარმოები, დიდი ნაწილი საწარმოებისა წარმოადგენს წვრილ, კუსტარულ სახელოსნოებს.

ირანის ჩამორჩენა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აიხსნება კოლონიური სახელმწიფოების ხანგრძლივი ბატონობით. კოლონიზატორების პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა საშუალებით შეეფერხებინათ მძიმე მრეწველობის განვითარება. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ირანის ნავთობი ინგლისის მონოპოლიების განკარგულებაში იყო. ამ გარემოებას ვერ ურიგდებოდნენ ზოგიერთი კაპიტალისტური ხელმწიფოები. დასავლეთის სახელმწიფოებს შორის გაიმართა მწვავე ბრძოლა ირანის ნავთობისათვის. ინგლისელები იძულებული გახდნენ დაეთმოთ ირანის ნავთობის 40 პროცენტი ამერიკის ნავთობის კომპანიებისათვის.

საბჭოთა კავშირი და ირანი მეზობლები არიან. მათი საერთო საზღვარი 2.500 კილომეტრს აღემატება.

საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე განუხრელად ახორციელებდა მეგობრულ პოლიტიკას ირანისადმი. საბჭოთა კავშირისა და ირანის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა, აღმოსავლეთის ხალხების დიდმა მეგობარმა ვ. ი. ლენინმა.

საბჭოთა სახელმწიფომ გააუქმა მეფის მთავრობის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები ირანთან, სრულ საკუთრებად დაუბრუნა ირანელ ხალხს ყველა კონცესია და დაწესებულება, რომლებიც მეფის რუსეთს ეკუთვნოდა. საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის დაიდო სახელმწიფო ხელშეკრულებები, რომლებიც თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის საფუძვლებზე იქნა აგებული. საბჭოთა კავშირი თავისი უანგარო დახმარებით ხელს უწყობდა ირანს, რომ იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო გამხდარიყო.

ᲘᲠᲐᲜᲘ
ᲗᲔᲰᲠᲐᲜᲘ
ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲠᲘᲡᲬᲧᲐᲚ